დემოკრატიული მიმართულების ფორმირება
რუსულ ისტორიოგრაფიაში

1840-60-იანი წლების ისტორიოგრაფიაში ოფიციალურ და ლიბერალურ მიმართულებასთან ერთად შეიძლება ცალკე გამოვყოთ დემოკრატიული მიმართულება. მის განვითარებაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა, რევოლუციური მიმართულების ფილოსოფოსების და საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწეების იდეებმა. მათი შემოქმედება იშვიათად იღებდა კონკრეტული ისტორიული თხზულების ფორმას, მაგრამ საზოგადოებრივ მეციერებებში ისინი ანახლებდნენ თეორიულ მეთოდოლოგიურ ბაზას, გავლენას ახდენდნენ ისტორიული კვლევის ობიექტის და საგნის შერჩევაზე. ამ მიმართულების მიმდევართა ფილოსოფიური და ისტორიული შეხედულებები ეფუძნებოდა კაცობრიობის უსაზღვრო პროგრესის იდეას და მის მატერიალისტურ გაგებას. მისი ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი იყო **ბესარიონ გრიგორის ძე ბელინსკი** (1811-1848). იგი ადრეული ასაკიდან გამოთქვამდა საკმაოდ რადიკალურ აზრებს აუცილებელი ცვლილებების შესახებ. 1829 წელს სწავლა დაიწყო მოსკოვის უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებში ჩამოაყალიბა წრე ,,მე-11 ნომრის ლიტერატურული საზოგადოება'' (იკრიბებოდნენ საერთო საცხოვრებელში მე-11 ოთახში) რომელიც იყო ნამდვილი რევოლუციური იდეების ბუდე უნივერსიტეტში. რევოლუციური განწყობილებების და ანტიბატონყმური დრამის ,,დიმიტრი კალინინი'' გამო 1832 წელს ბელინსკი გამორიცხეს უნივერსიტეტიდან, მაგრამ 1833 წელს ის იწყებს თანამშრომლობას იმ დროს საუკეთესო ჟურნალებთან ,,ტელესკოპი'' ,,სამამულო ჩანაწერები'', ,,თანამედროვე'' და მალე ხდება ყველაზე ავტორიტეტული ლიტერატურული კრიტიკოსი რუსეთში.

30-იან წლებში ჰეგელით და მისი ფორმულებით: ,,ყველაფერი ნამდვილი გონივრულია და ყველაფერი გონივრული ნამდვილი'' და ,,ძალა არის სამართალი და სამართალი არის ძალა'' გატაცებამ ბელინსკი შეარიგა ნიკოლოზ I-ის პოლიტიკურ სისტემასთან. ის ამბობდა კიდეც, რომ ,,სამეფო ხელისუფლებისადმი უსიტყვო მორჩილება არის არა მხოლოდ სარგებელი და აუცილებლობა, არამედ უმაღლესი პოეზია ჩვენი ცხოვრებისა'', მაგრამ უკვე 40-იანი წლების დასაწყისიდან ბელინსკი საბოლოოდ იქცა და რევოლუციური ცვლილებების მხურვალე აპოლოგეტად.

რუსულ ისტორიოგრაფიაზე ბელინსკის გავლენის შეფასებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ის პირველ ყოვლისა იყო ლიტერატურული კრიტიკოსი და არა პროფესიონალი ისტორიკოსი თუმცა მისი იდეები, მისი ბრძოლა ოფიციალურ ხალხოსნობის თეორიასთან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა თანამედროვეებზე.

როგორც რევოლუციური ცვლილებების და გადამწყვეტი მოქმედებების მომხრე ბელინსკი აფასებდა პეტრე I-ის როლს და ადგილს ქვეყნის ისტორიაში. დიდმა მეფემ აიძულა რუსეთი ემოძრავა, მაგრამ თვითონ პეტრეს რეფორმები მზადდებოდა საზოგადოებრივი განვითარების მთელი კანონზომიერი სვლით და ცვლილებების მოთხონილება გამოჩნდა უკვე ალექსეი მიხეილის ძის მეფობისას.

ბელინსკის თანამედროვე იყო **ალექსანდრე ივანეს ძე გერცენი** (1812-1870). 1829 წელს გერცენი თავის ახლო მეგობართან ნიკოლაი ოგარიოვთან ერთად ჩაირიცხა მოსკოვის

უნივეერსიტეტში. აქ ბელინსკის მსგავსად მეგობრებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი რევოლუციური წრე იმ ადამიანებისგან, რომლებიც სოციალიზმის იდეით იყვნენ გატაცებულნი. გერცენის საქმიანობა არ გამორჩენია ხელისუფლებას და რვა წელი (1834-1842) ერთწლიანი შესვენებით (1840) მეამბოხემ გაატარა გადასახლებაში პერმი-ვიატკა-ვლადიმირი-ნოვგოროდი. 1842 წელს დაბრუნდა მოსკოვში, ხოლო 1847 წელს საერთოდ წავიდა რუსეთიდან. ამ დროისთვის გერცენი საკმაოდ ცნობილი ფილოსოფოსი იყო რომელმაც აითვისა და დაძლია ჰეგელის დიალექტიკა (ჰეგელთან ის მიდიოდა უმაღლეს წერტილამდე- კონსტიტუციური მონარქია. გერცენი განიხილავდა საზოგადოებრივ განვითარებას როგორც უწყვეტ მოძრაობას და განახლებას) მის ყველაზე ცნობილ ფილოსოფიურ თხზულებას შეიძლება მივაკუთვნოთ ,,დილეტანტიზმი მეცნიერებაში'' (1842-43) ,,წერილები ბუნების შესწავლის შესახებ'' (1845-1846).

რუსეთიდან ემიგრირებულმა გერცენმა გამოაქვეყნა ჟურნალებში: ,,პოლარულ ვარსკვლავი'', ,,კოლოკოლი'', ,,ხმები რუსეთიდან'' მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროები, აკრძალული და გულდასმით ,,შენახული'' მეფის მთავრობის მიერ. (მაგალითად რადიშევის მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში'', დოკუმენტები მეფის ძის ალექსეის სიკვდილის გამოძიებისა და სხვა). გერცენის თხზულებათა სრული კრებულის 22 ტომიდან, მეოთხედი მოდიოდა ისტორიულ-პუბლიცისტურ ნაშრომებზე. ისტორიისადმი ინტერესს არ კარგავდა ის გადასახლების დროს. 1841-42 წწ. დისერტაციის დასაწერადაც კი ემზადებოდა ,,პეტრეს გადატრიალების შესახებ''.

თავის ისტორიულ-ფილოსოფიურ ნაშრომებში გერცენი გამოდის როგორც თანმიმდევრული მატერიალისტი და სოციალისტური წყობის მომხრე. ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად განიხილავდა ხალხს (პირველი ალაპარაკდა დეკაბრისტების წარუმატებლობის ძირითად მიზეზზე: ,,არ იყო საკმარისი ხალხი''). გერცენის ისტორიული ნააზრევის ძლიერი მხარე იყო მის მიერ ადამიანთა საზოგადოების პროგრესული მოძრაობის კანონის აღიარება უმდაბლესიდან უმაღლესი სტადიისკენ.

მუშაობდა რა კონკრეტულ ისტორიულ მასალაზე გერცენი მივიდა დასკვნამდე, რომ ვარიაგთა მოწვევას არ ჰქონდა ის დიდი მნიშვნელობა რომელსაც აძლევდა ბევრი რუსი ისტორიკოსი, რამდენადაც მოსული ნორმანები ,,მალე შეერწყნენ ქვეშევრდომებს და ჩაიძირნენ სლავურ ელემენტში''. საინტერესო იყო ივანე მრისხანეს შეფასება ერთის მხრივ როგორც სახელმწიფო მოღვაწის, მეორეს მხრივ როგორც თავნება ტირანის ,,მრისხანე ყველაზე ტრაგიკული პირია კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი გონი, გული აფთრის და ირონია, შეკრული ადამიანების და საკუთარი ხალხის ღრმა სიძულვილით''.

რევოლუციურად განწყობილ მოაზროვნეს ჰქონდა ახალი შეხედულება სახალხო აჯანყებების (რაზინის, პუგაჩოვის) მიმართ, უკავშირებდა მათ მიზეზებს ბატონყმობის გაძლიერებას. პეტრე დიდის შეფასება გერცენთან ევოლუცირებდა ,,გვირგვინოსანი რევოლუციონერით'' აღფრთოვანებიდან იმის აღიარებამდე, რომ მისთვის ,,სახელმწიფო იყო ყველაფერი, ადამიანი-არაფერი''.

და მაინც გერცენის მთავარი დამსახურება რუსულ ისტორიოგრაფიაში მდგომარეობს არა ცალკეულ შენიშვნებში რუსეთის ისტორიის საკითხებზე, არამედ იმაში, რომ მან საფუძველი ჩაუყარა ნარდონიკულ სოციალიზმს. სწორედ მისი იდეები ,,თემზე'', როგორც რუსეთის მომავალი სოციალისტური მოწყობის ბირთვზე დაედო საფუძვლად

ნაროდნიკების პროგრამას. გერცენის იდეალიზირებული წარმოდგენა სასოფლო თემზე ძლიერ გავლენას ახდენდა ისტორიკოსებზეც, ახლო ნაროდნიკებთან.

გერცენს და ოგარიოვს თავიანთი ლონდონური ,,კოლოკოლით'' სამართლიანად თვლიან რუსული გამათავისუფლებელი მოძრაობის საზღვარგარეთულ ცენტრად. სხვა შიდარუსული ცენტრი შეიქმნა 1859 წელს პეტერბურგში ჟურნალ ,,სოვრემენნიკის'' გარშემო. იდეური ხელმძღვანელები იყვნენ ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი.

ნიკოლაი გავრილას ძე ჩერნიშევსკიმ (1828-1889) დაამთვარა სემინარია და პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაზე განაგრძო სწავლა, სადაც განიმსჭვალა რევოლუციური იდეებით. 1851-1853 წწ. მუშაობდა სარატოვის გიმნაზიაში მასწავლებლად, 1853 წელს წავიდა პეტერბურგში და 1854 წლიდან დაიწყო მუშაობა ,,სოვრემენნიკში''. ჩერნიშევსკი იყო უზომოდ ნიჭიერი სხვადასხვა დარგში. როგორც ფილოსოფოსი და ეკონომისტი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, ლიტერატურული კრიტიკოსი და მწერალი, ფლობდა 10 ენას და ბრწყინვალედ იცნობდა უცხოურ ჰუმანიტარულ მეცნიერებას. სოციალიზმისკენ რუსული გზის ძიებაში მან ყურადღებით შეისწავლა რუსული და მსოფლიო ისტორიის გამოცდილება, თვლიდა, რომ სწორედ ისტორია უნდა იყოს განათლების ფუნდამენტი.

ისტორიული პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალად ჩერნიშევსკი თვლიდა ხალხთა მასებს, მაგრამ ამბობდა, რომ ამ ,,უზარმაზარ ძალას'' სჭირდებოდა განათლება, სხვანაირად მან შეიძლება გამოავლინოს მასში ჩადებული დამანგრეველი, საშიში საწყისი. გერცენისგან განსხვავებით ჩერნიშევსკი არ აიდეალიზებდა თემს, ხედავდა რა მასში რუდიმენტს, რითაც სრულებით უადგილოა თავის მოწონება.

ჩერნიშევსკის თანამებრძოლი **ნიკოლაი ალექსანდრეს ძე დობროლიუბოვი** (1836-1861) თავის რევოლუციურ მისწრაფებებში კიდე უფრო კატეგორიული იყო. მოკლედ მას არ ჰქონდა ერთიანი მიდგომა ისტორიული პრობლემებისადმი. მისი შეხედულებები ისტორიაზე იმდენად ემთხვეოდა ჩერნიშევსკისას, რომ მათ ხშირად არ გამოყოფენ ერთმანეთისგან ისტორიულ ნაშრომებში.

ათანასე პროკოპის ძე შაპოვი (1831-1876) სწავლობდა ირკუტსკის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სემინარიაში, სხვა საუკეთესო მოსწავლეებთან ერთად გააგზავნეს ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რის შემდეგაც ის გახდა აკადემიის, შემდეგ კი ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი. ყაზანში სწორედ ამ დროს (ყირიმის ომთან დაკავშირებით) გადმოტანილ იქნა სოლოვეცკის მონასტრის უმდიდრესი ხელნაწერი ბიბლიოთეკა. ახალგაზრდა მეცნიერი მონაწილეობდა ხელნაწერთა აღწერის შედგენაში და თავისთვის გააკეთა უამრავი ამონაწერები, ამ საქმიანობამ მისი ინტერესების კორექტირება მოახდინა.

თავისი სამეცნიერო კარიერის დასაწყისში შაპოვი უფრო განხეთქილების და საერთოდ საეკლესიო ისტორიის საკითხებით იყო დაკავებული თუმცა ყველა მისი ნაშრომი ამ თემაზე ატარებდა მწვავე სოციალურ ხასიათს.

ცდილობდა გაეწყვიტა ოფიციალური საეკლესიო განმარტებებთან და განხეთქილებაში დაენახა არა ჩვეულებრივი ერესი, არამედ წარმოეჩინა როგორც სახალხო მოძრაობა. ამასთან მეცნიერი უჩიოდა ხალხთა მასების უმეცრებას. მათ უუნარობას გაეგოთ ,,გენიალური ნიკონის'' საკლესიო რეფომების არსი.

შაპოვის კრიტიკით გარდა ოფიციალური იდეოლოგებისა როგორიც იყო სახელმწიფო ქონების მინისტრი მ. მურავიოვი, გამოდიდოდნენ დემოკრატები მ. ანტონოვიჩი და ნ. დობროლიუბოვი. ამ უკანასკნელთა აზრმა დიდი გავლენა მოახდინა ისტორიკოსზე – ის მიუბრუნდა რევოლუციურ განმანათლებლურ იდეებს. გახდა რა ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი პირველივე გამოსვლაზე სტუდენტებთან 1860 წელს განაცხადა ,,მთავარი ფაქტორი ისტორიაში არის თვითონ ხალხი, არსი და შინაარსი ისტორიის არის ხალხის ცხოვრება.'' რუსეთის ისტორიის არსი მეცნიერისთვის იყო ხალხის და ოლქების ბრძოლა ცენტრალიზაციის და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ის აკრიტიკებდა სახელმწიფოს მის მიერ გატარებული ცენტრალიზაციის გამო და იმის გამო, რომ სახალხო ცხოვრების თვითმყოფადობის დათრგუნვას ეწეოდა.

რუსეთის ისტორიის ერთ-ერთ განმასხვავებელ თავისებურებას შაპოვი პოულობდა ,,ოლქობრიობის საწყისში'' ოფიციალური მეცნიერება- ამტიკიცებდა ის – მთელ განსხვავებას ცალკეული მიწების და ოლქების განვითარებაში ხელოვნურად ათავსებდა სახელმწიფოებრივი განვითარების იდეის ქვეშ, სინამდვილეში ,,რუსეთის ისტორია საფუძველშივე არის ძირითადად ოლქების, ხალხთა მასების ისტორია, ისტორია თანდათანობით ტერიტორიული მოწყობის... შაპოვს უნდოდა შეესწავლა ხალხების ისტორია და არა სახელმწიფოსი.

შაპოვის დემოკრატიზმი განსაკუთრებით გამოვლინდა როცა ის 1861 წლის აპრილში გამოვიდა სიტყვით ყაზანის გუბერნიის სოფელ ბეზდნაში პანაშვიდზე (გლეხების დახრეტის გამო). თავისი სიტყვის გამო ,,გაუმარჯოს დემოკრატიულ კონსტიტუციას'' მეამბოხე პროფესორს ჩამოერთვა სწავლების უფლება, დაპატიმრებულ იქნა და გაგზავნილი პეტერბურგში. მკაცრი სასჯელისგან ის იხსნა რუსული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა და იმან, რომ თავდებად დაუდგა შინაგან საქმთა მინისტრი პ. ვალუევი. პეტერბურგში შაპოვმა დაიწყო აქტიური სამეცნიერო და ლიტერატურული საქმიანობა ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება მისი სტატიები ,,სოფლის თემი'' ,,ერობა და განხეთქილება'' ,,საერობო კრებები XVII სკ'' და სხვა.

შაპოვის ისტორიული თეორია, მისი მცდელობა ჩაეყენებინა რუსი ხალხის წარსულის შესწავლა თანამედროვე მწვავე პრობლემების სამსახურში სარგებლობდა დიდი პოპულარობით წამყვან რუსულ საზოგადოებრივ წრეში. თვითონ სწავლული განსაკუთრებულ როლს რუსულ ისტორიაში განაკუთვნებდა საერო შეკრებებს, თვითმმართველობას, თემს, ამ უკანასკნელში ხედავდა რა სოციალიზმის ჩანასახს. საერთოდ ისტორიკოსის აზრით სათემო დემოკრატიული საწყისი დამახასიათებელი იყო რუსეთისთვის ძველთაგანვე, მაგრამ პეტრე I-ის დროს დაწყებულმა აბსტრაქტულმა პრინციპებმამა ბრძანებების და მითითებების, ბიუროკრატიული მორჩილების სისტემამ მთლიანად დათრგუნა თავისუფალი საერო თვითთმართველობის პრინციპი და სახალხო ცხოვრების თვითგანვითარება.

1864 წელს შაპოვი სხვა დემოკრატ ხალხოსნებთან ერთად გადასახლებულ იქნა ციმბირში, თავიდან მშობლიურ სოფელში ანგუში, შემდეგ ირკუტსკში სადაც ცხოვრობდა თითქმის უსახსროდ. მისი სტატიები ამ პერიოდის (,,მთების და ზღვების გავლენა მოსახლეობის ხასიათზე'' ,,რუსული მოსახლეობის ისტორიულ გეოგრაფიული განაწილება'') მეტყველებს, რომ შეიცვალა მისი კვლევის ინტერესები. შაპოვმა რუსეთის

ისტორიის საკუთარი ანთროპოლოგ-სოციოლოგიური სურათიც კი შექმნა. მთავარი ფაქტორი ისტორიული პროცესის ხდება ბუნების ათვისება და მისი ტექნიკური დამორჩილება ადამიანის ძალისხმევის მიერ. . . .

შაპოვის მნიშვნელობა, როგორც ისტორიკოსის იქნებოდა უფრო მეტი, რომ არა მისი თხზულებების მძიმე ენა.

<u>,,ნაროდნიკული მიმართულება რუსულ ისტორიოგრაფიაში''</u>

ნაროდნიკობა ძალიან რთული, მრავალწახნაგოვანი მოვლენაა 1870-1890-იანი წლების რუსეთის ისტორიაში. თავისი არსებობის განმავლობაში ნაროდნიკულმა იდეოლოგიამ მთლიანად და ნაროდნიკულმა ისტორიოგრაფიამ ნაწილობრივ განიცადა ევოლუციური ცვლილებები, მაგრამ ნაროდნიკების ისტორიულ შეხედულებებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ზოგადი (საერთო) დადგენილება.

1. თეორია რუსული იტორიული პროცესის, რუსეთის ეკონომიკური წყობილების თვითმყოფადობის, მჭიდროდ დაკავშირებული თემის საწყისებთან, თავიდანვე გაბატონებული რუსეთში
2. რწმენა რუსული კაპიტალიზმის რეგრესულობაზე, იმის რომ რუსეთი მივა სოციალიზმამდე, კაპიტალიზმის გვერდის ავლით.
3. წარმოდგენა ისტორიაში ცალკეული პერსონების გადამწყვეტი და წარმმართველი როლის შესახებ.

ეს დადგენილებები არ ყოფილა აბსოლუტური სიახლე რუსულ საზოგადოებრივ აზრში. ნაროდნიკული ფესვები მოდის XIX საუკუნის 40-იან წლებიდან- სლავიანოფილების დავიდან მედასავლეთეებთან, გერცენის ჩერნიშევსკის დობროლუბოვის იდეებიდან. ადრეული ხალხოსნური სოციოლოგიისა და ისტორიოგრაფიის პროგრამულ დოკუმენტებად შეიძლება დასახელდეს: ,,ისტორიული წერილები'' (1870) **პეტრე ლავრის ძე ლავროვის** (1823-1900) და სტატია ,,რა არის პროგრესი?'' (1869) ნიკოლაი კონსტანტინეს ძე მიხაილოვსკის (1842-1904).

თვლიდა რა სოციოლოგიას ,,ბუნებისმეტყველების უმნიშვნელოვანეს ნაწილად'' რომელიც ამრიგად წარმოადგენს ზუსტ მეცნიერებას საზოგადო პროცესების განვითარების შესახებ პ. ლავროვი ამბობდა, რომ ისტორია იკვლევს ცალკეულ განუმეორებელ მოვლენებს, ის ძალიან სუბიექტურია. ,,ისტორიის ფაქტები რჩება, ხოლო გაგება ცვლის მათ აზრს და ყოველი პერიოდი განმარტავს რა წარსულს მასში შეაქვს თავისი თანამედროვე საზრუნავი, თავისი თანამედროვე განვითარება''.

ამასთან ლავროვის აზრით შესაძლებელია გამომუშავდეს: ,,პროგრესის სამეცნიერო გაგება და აიგოს ისტორია როგორც მეცნიერება''. რამდენადაც პროგრესი სხვა არაფერია თუ არა ,,სუბიექტური შეხედულება მოვლენებისადმი ჩვენი ზნეობრივი იდეალების თვალსაზრისით'', საჭიროა ამ ზნეობრივი იდეალის გამომუშავება, რომელიც გარდუვალად ,,განმტკიცდება კაცობრიობაში, როგორც ერთიანი სამეცნიერო ჭეშმარიტება''.

ლავროვი იყო ერთ-ერთი შემქმნელი თეორიისა: ,,კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებების'' როგორც საზოგადოებრივი განვითარების მთავარი ძალა.

რაც შეეხება საკუთრივ ნაროდნიკების ისტორიულ ნაშრომებს, გამომდინარე რუსული კაპიტალიზმის დაცემის შესახებ წარმოდგენიდან, ცდილობდნენ აეხსნათ
,,რუსეთის განვითარების განსაკუთრებული გზა, დიდ ყურადღებას უთმობდნენ რუსეთის ეკონომიკის ისტორიას, რუსული სამართლის და რუსული თემის ისტორიას (ვორონცოვის, დანიელსონის, ეფიმენკოს და სხვათა თხზულებები) ... თუმცა ერთადერთი ნაროდნიკებს შორის რომელიც პროფესიონალურად დაინტერესებული იყო ისტორიით და ისტორიული პროცესის თეორიით იყო ლავროვი.

ნაროდნიკების ისტორიული შეხედულებების ფორმირების შესახებ საუბრისას უნდა აღინიშნოს **პეტრე ნიკიტას ძე ტკაჩოვის** (1844-1886) პოზიცია. ის გამოდიოდა რუსული თემის განსაკუთრებულობის და თავისებურების თეორიის წინააღმდეგ, არ ღებულობდა რა პოზიტივისტურ შეხედულებებს სუბიექტივიზმის და ისტორიის არამეცნიერებაზე, წამოწია საკუთარი თეორია ისტორიული პროცესის დინამიკის შესახებ და ამას საფუძვლად დაუდო ადამიანური ეგოიზმი. ტკაჩოვის მიხედვით სწორედ ეგოისტური მისწრაფებები განსაზღვრავს ადამიანთა ცხოვრებას. ის აღიარებდა, რომ პიროვნების როლი ისტორიაში უდიდესია, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი მისთვის იყო ხალხთა მასების მოღვაწეობა.

პროფესიონალი ისტორიკოსი ბოლო ტალღისა ნაროდნიკებს შორის იყო **ვასილი ივანეს ძე სემევსკი** (1848-1916). ახალგაზრდობისას სემევსკი მოდას იყო აყოლილი თვლიდა, რომ ყველა ცოდნის საფუძველი უნდა იყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლა. 1866 წელს ის ჩაირიცხა სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, მაგრამ რამდენიმე წელიწადში იქიდან გადავიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ 1872 წელს დარჩა რუსეთის ისტორიის კათედრაზე.

ლავროვის და მიხაილოვსკის შეხედულებების გავლენით, სემევსკიმ 1881 წელს გამოაქვეყნა სტატია სათაურით: ,,არ დადგა დრო დაიწეროს გლეხთა ისტორია რუსეთში?'', სადაც ანვითარებდა ნაროდნიკულ იდეას ხალხის წინაშე ინტელიგენციის გამოუსყიდავი ბრალის შესახებ: ,,ჩვენი თანამედროვე ინტელიგენცია იკვებება ბატონყმური დედების რძით, გამოზრდილია ბატონყმური შრომისგან მიღებული შემოსავლით და რადგან ეს ასეა ის ვალდებულია გაირჯეს გლეხთა სასარგებლოდ ცხოვრებაშიც და მეცნიერებაშიც''.

თვითონ სემევსკისთვის ეს არ იყო ცარიელი სიტყვები. იმავე 1881 წელს მან გამოუშვა კაპიტალური ნაშრომის პირველი ტომი: ,,გლეხები ეკატერინე II მეფობის დროს'' მაგისტრის ხარისხის დასაცავად, მაგრამ პეტერბურგში მას გლეხთა საკითხში სამთავრობო პოლიტიკის კრიტიკის გამო'' არ მისცა დაცვის უფლება კათედრის გამგემ კ. ბესტუჟევ-რიუმინმა, თუმცა დაცვა ვ. კლიუჩევსკის მხარდაჭერით წარმატებით მოხდა მოსკოვში 1882 წელს. ახალგაზრდა მეცნიერი დაბრუნდა პეტერბურგში სადაც დაიწყო ლექციების კითხვა გლეხობის ისტორიაზე მაგრამ 1886 წელს განათლების მინისტრის ი. დელიანოვის ბრძანებით 38 წლის პრივატ დოცენტს პედაგოგიური საქმიანობა აეკრძალა.

ისტორიკოსი სრულად გადაეშვა სამეცნიერო კვლევებში მისი წამრატება როგორც მეცნიერის აშკარა იყო. პუბლიკაციები გამოირჩეოდა საარქივო მასალის სიმრავლით, საინტერესო მონაცემებით. ამ პერიოდის ძირითადი ნაშრომების სია სემევსკის სამეცნიერო მუშაობის ინტენსივობის შეფასების საშუალებას გვაძლევს. 1888 წელს გამოვიდა ორი

ტომი ,,გლეხთა საკითხი რუსეთში XVIII და XIX სკ. პირველ ნახევარში'' ამ ნაშრომით სემევსკიმ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია მოსკოვის უნივერსიტეტში 1889 წელს და დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

1891 წელს ოქროს მწარმოებლის ი. სიბირიაკოვის მხარდაჭერით სემევსკი გაემგზავრა ციმბირში, რის შემდეგაც გამოაქვეყნა 2 ტომიანი გამოკვლევა ,,მუშები ციმბირის ოქროს საბადოებში'' დამყარებული პირად სამეციერო მივლინებაზე და მრავალრიცხოვან საარქივო მასალებზე (32 არქივი) ეს იყო ფაქტობრივად პირველი გამოკვლევა რუსეთში მუშათა კლასის შესახებ.

1901 წელს გამოვიდა მეორე ტომი ნაშრომის: ,,გლეხები იმპერატორ ეკატერინე II მეფობის დროს'', ხოლო 1903 წელს ხელახლა გამოსცა ამ ნაშრომის პირველი ტომის გადამუშავებული ვარიანტი. მესამის გამოქვეყნება ავტორმა ვერ მოასწრო. 1900-იან წლებში სემევსკის კვლევის ძირითადი თემა გახდა დეკაბრისტების იდეოლოგია.

ნიკოლაი ივანე ძე კოსტომაროვი 1817-1885.

კოსტომაროვის აქ განხილვა შეიძლება ერთი შეხედვით მოულოდნელი იყოს. რევოლუციონერ დემოკრატებს ეს მეცნიერი არ შეიძლება მოვაკუთვნოთ, მაგრამ მასზე საუბარი გამართლებულია შაპოვის ისტორიულ იდეებთან სიახლოვით და მსგავსებით რომელთა შედარებაც საინტერესოა. განათლება მან მიიღო ხარკოვის უნივერსიტეტში. 1842 წელს წარმოადგინა დასაცავად სამაგისტრო დისერტაცია ,,უნიის მიზეზების და ხასიათის შესახებ დასავლეთ რუსეთში'' მაგრამ ცენზურამ იგი აკრძალა. ხარკოვის არქიეპისკოპოსმა ინოკენტიმ ჩათვალა, რომ ნაშრომი შეურაცხყოფდა მორწმუნეებს, ხოლო პროფესორმა უსტრიალოვმა სახალხო განათლების სამინისტროს დავალებით ისეთი გამოხმაურება დაწერა, რომ ნაბრძანები იყო ხელნაწერის დაწვა. მიუხედავად ამისა ახალგაზრდა მეცნიერს უარი არ უთქვამს სამეცნიერო საქმიანობაზე და რამდენიმე ხანში დაიცვა დისერტაცია ახალ თემაზე ,,რუსული სახალხო პოეზიის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ''.

1845 წ. მან დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა კიევის უნივერსიტეტში და მალე გახდა კირილე-მეთოდეს საძმოს ერთ-ერთი დამაარსებელი, რომლის წევრები აღიარებდნენ ლიბერალურ შეხედულებებს, ცდილობდნენ ბატონყმობის გაუქმებას, წოდებრივი პრივილეგიების ლიკვიდაციას და სლავური ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას უკრაინით სათავეში.

ამ საძმოში მონაწილეობისთვის 1847 წელს კოსტომაროვი დაპატიმრებულ იქნა და ერთი წელი პეტრე-პავლეს ციხეში ყოფნის შემდეგ გადაასახლეს სარატოვში, სწავლების და გამოცემის აკრძალვით, მაგრამ მიუხედავად სიძნელეებისა მან მოამზადა მონოგრაფია ბოგდან ხმელნიცკის შესახებ, შეკრიბა ადგილობრივი ფოლკლორი დაკავშირებული სახალხო მოძრაობასთან, მონაწილეობდა ყირიმის არქეოლოგიურ ექსპედიციაში.

1857 წელს კოსტომაროვი გადავიდა პეტერბურგში სადაც გამოაქვეყნა თავისი ნაშრომები: ,,ბოგდან ხმელნიცკი'' (1857) ,,სტენკა რაზინის ბუნტი'' (1858) და გახდა აღიარებული ავტორიტეტი ამ დარგში. 1859-1862 წწ. ის იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო მისი დატოვების შემდეგ გადავიდა სამეცნიერო ლიტერატურულ და ჟურნალისტურ საქმიანობაზე.

უნივერისტეტის დატოვება მოუხდა სტუდენტთა მღელვარების შემდეგ 1861 წელს როცა სასწავლო დაწესებულება დახურეს, მაგრამ პროგრესულად განწყობილი პროფესორების ჯგუფმა რომელთა შორის იყო კოსტომაროვი, გადაწყვიტა განეგრძო სტუდენტთა სწავლება საჯარო ლექციების მეშვეობით. მალე ერთ-ერთი მასწავლებელი დააპატიმრეს და გადაასახლეს დედაქალაქიდან. სტუდენტთა კომიტეტმა პროტესტის ნიშნად დაადგინა საჯარო ლექციების შეწყვეტა. კოსტომაროვი ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა, განაცხადა რა, რომ არ დაემორჩილება დესპოტიზმს არც ზემოდან და არც ქვემოდან. პროფესორის მომდევნო ლექცია სტვენის ქვეშ ჩატარდა ასე, რომ ის იძულებული გახდა შეეწყვიტა საჯარო კურსის კითხვა.

როგორც ისტორიკოსი თავის ამოცანას კოსტომაროვი ხედავდა ,,ეროვნული სულის'', ამა თუ იმ ხალხის უცვლელი ეროვნული თვისებების განსაზღვრაში, ამ ეროვნული სულის გამოვლინებისა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებში. თეორიამ ,,სახალხო სულის'' შესახებ კოსტომაროვი მიიყვანა უკრაინის და რუსეთის ისტორიის შეპირისპირებამდე. მისი აზრით ჯერ კიდევ ძველ დროში, როცა მოხდა აღმოსავლეთ სლავების ცალკეულ ტომებად დაყოფა, ყოველმა მათგანმა დაკავშირებულმა განსაზღვრულ ტერიტორიასთან შეიძინა თავისი განმასხვავებელი თავისებურებები და სულიერი თვისებები, რომლითაც შევიდა ისტორიაში. უმთავრესი ამ ტომებიდან იყო სამხრეთ რუსები (ან უკრაინელები) და ველიკორუსები. ,,სახალხო სული'' აღმოსავლეთ სლავების ამ ორი ნაწილის იყო თავიდანვე განსხვავებული. კოსტომაროვის აზრით უკრაინელი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისუფლებისკენ ლტოლვით, თვითმმართველობით და დემოკრატიზმით. ველიკორუსი ხალხი კი გამოირჩეოდა დისციპლინის გრძნობით, სახელმწიფოებრივი საწყისების ორგანიზებულობით. ამის შესაბამისად უკრაინელმა ხალხმა შეიმუშავა ვეჩეს წყობა. ხოლო ველიკორუსმა მოგვიანებით შექმნა ერთმპყრობელური, მონარქიული წყობა.

მეცნიერმა შექმნა რუსეთის ისტორიის საკუთარი პარადიგმა, რომლის ცენტრალური პუნქტიც იყო ბრძოლა ორი საწყისის: ფედერაციულისა და ,,ერთმყრობელურის'' (ამასთან პირველი ბატონობდა რუსეთში მონღოლ-თათართა შემოსევამდე, მეორე საბოლოოდ განმტკიცდა XVII საუკუნეში) შეპირისპირება ვეჩეს და ერთმპყრობელობის საწყისებს შორის მიიყვანა კოსტომაროვი პოგოდინთან პოლემიკამდე. (რომელიც უარყოფდა ყველანაირ ბრძოლას და წინააღმდეგობას რაც ასე განასხვავებდა რუსეთის ისტორიას დასავლეთისგან). მეცნიერების შეუთანხმებლობა რუსეთის ისტორიის საკითხებში იწყებოდა ნორმანთა მოწვევის საკითხით: კოსტომაროვი იცავდა რუსების ლიტვური წარმომავლობის თეორიას.

კოსტომაროვის სხვა იდეები რუსეთის ისტორიასთან დაკავშირებით გამოიყურებოდა შემდეგი სახით: მამულ-ვეჩეს პერიოდი (კიევის რუსეთი) რუსული სახალხო სტიქია გამოდიოდა როგორც ექვსი ხალხის ერთობლიობა (სამხრეთ-რუსული ნოვგოროდ-ჩრდილოური, ნოვგოროდული, ფსკოვური, ბელორუსული და ველიკორუსული). ნოვგოროდული, ფსკოვური, სამხრეთ-რუსული ხალხები ხასიათდებოდნენ სახალხო მმართველობით, ამასთან ნოვგოროდი ცდილობდა რუსული მიწების ერთიანობისკენ, მაგრამ ფედერაციის ფორმით.

თავისუფალი ფედერაციის განვითარებას ბოლო მოუღო თათართა შემოსევამ. უღელმა დაამსხვრია ძველი წესები, ვეჩეს წყობა და ფედერაციული საწყისები, მიიყვანა ერთმპყრობელობამდე (მონარქია) ხოლო ერთმპყრობელურმა ხელისუფლებამ შექმნა ცენტრალიზებული მონარქიული სახელმწიფო. (მონღოლთა დაპყრობამ მოიტანა ფეოდალური ურთიერთობებიც ...).

ველიკორუსების ეროვნულმა შტრიხებმა (წესრიგისადმი ლტოლვა) გაძლიერებულმა მონღოლთა შემოსევით, გამოიწვია საბატონყმო უფლების დამყარება.

ერთმმართველობის წესრიგის საწინააღმდეგო ძალად ისტორიკოსს მიაჩნდა კაზაკობა, ხოლო მის დამაარსებლად უკრაინელი ხალხი, თუმცა დემოკრატიზმის ტრადიცია დამახასიათებელი სამხრეთ რუსებისთვის, დიდი ხანი შეინარჩუნა ნოვგოროდმა, ფსკოვმა, ვიატკამ. ასეთი აზრია მოცემული ნაშრომში ,,Севернорусские народоправство во время удельновечевого уклада (Новгород Псков Вятка)'' (1863) ერთმმართველობა ,,მის სრულ ზენიტში'' კოსტომაროვთან პეტრე I-ის დროს მოხდა, რომელმაც ზუსტად გაიგო რა სჭირდებოდა ქვეყანას და განახორციელა აუცილებელი რეფორმები. ამასთან ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ თავისუფალი რესპუბლიკური წყობა არაფრად ვარგა მაშინ როცა უნდა შეიცვალოს ქვეყნის ბედი, ამოიძირკვოს ფესვიანად ყველაფერი ძველი და დაწესდეს ახალი''.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ კოსტომაროვი წერდა გასაგები ენით, იპყრობდა რა ამით უბრალო მკითხველის და მეცნიერების ყურადღებას.

ამასთან კოსტომაროვი რომელიც ფლობდა შესაშურ მახსოვრობას, ხშირად არ იწუხებდა თავს გადაემოწმებინა ისტორიული მონაცემები და წერდა რა ისტორიას ისე როგორც ესმოდა უშვებდა ფაქტობრივ შეცდომებს, ამით კრიტიკოსების ქარცეცხლში ექცეოდა. თვითონ ისტორიკოსი თავისუფლებას წყაროებთან მიმართებაში დიდად არ განიცდიდა და პასუხობდა. ,,თუ რაიმე ფაქტი არასდროს მომხდარა, მაგრამ არსებობს რწმენა იმის, რომ ის ხდებოდა ეს ჩემთვის რჩება ასევე მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტად''.